№9

ნოემბერი, 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

,,მუდამ იქ ვარ, სადაც ჩემს ხალხს ვჭირდები,“- ინტერვიუ გოგი მეშველიანთან

გვ:2

მემორანდუმის ფარგლებში სოფელ ტანძიაში ეკონომიკური ინიციატივები განხორციელდება

გვ:3

,,მენტორობა მხოლოდ წოდება და პატივი არაა, მენტორობა უდიდესი მოვალეობაა”

გვ:5

,,მუდამ იქ ვარ, სადაც ჩემს ხალხს ვჭირდები,"-ინტერვიუ გოგი მეშველიანთან

,,გოგი იქნება ბოლნისის და არა მარტო ბოლნისის, დმანისის თეთრიწყაროსა და წალკის ხმა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში".

,,ის არის ჩვენი გუნდის ღირსეული წარმომადგენელი, უპატიოსნესი ადამიანი, პროფესიონალი, რომელმაც ძალიან კარგად იცის თითოეული პრობლემა რაც აწუხებს საზოგადოებას ამ რეგიონში,"მართველი გუნდის ლიდერებმა, ამ სიტყვებით წარადგინეს საზოგადოების წინაშე გოგი მეშველიანის კანდიდატურა, მას შემდეგ იყო საკმაოდ რთული კონკურენტუნარიანი წინა საარჩევნო გარემო გაერთიანებულ ოლქში. ამ ხნის განმავლობაში გოგი მეშველიანმა მოახერხა თითოეული ქალაქის, სოფლისა და დაბის მოსახლეობამდე მისვლა, როგორც თავად ამბობს მათ წინაშე წარსდგა გულწრფელი, რეალური დაპირებებით და შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა.

,,მუდამ იქ ვარ სადაც ჩემს ხალხს ვჭირდები. ვფიქრობ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიიღო საზოგადოებამ გადაწყვეტილება, მე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათი ნდობა გავამართლო,"ამბობს გოგი მეშველიანი.

შეგახსენებთ, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, #14 მაჟორიტარულ ოლქში, ხმათა უმრავლესობა ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატმა გოგი მეშველიანმა მიიღო და პირველივე ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

- მოგესალმებით და გაზეთის სახელით გილოცავთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას. ბატონო გოგი, რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში?

- მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ბოლნისელებს, დმანისელებს, თეთრწყაროელებს და წალკელებს, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა მაღალი აქტიურობისა და ჩვენთვის გამოცხადებული ნდობისთვის.

ოყო ოთხი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, პირველ რიგში არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, ეს ნიშნავს იყო ამ ხალხის ხმა საქართველოს პარლამენტში, ძლიერი ლობისტი, რათა შეძლო და ყველას გააცნო ბოლნისელების, დმანისელების, თეთრწყაროელების და წალკელების ინიციატივები, თუ საჭიროებები, დაიცვა მათი კანონიერი ინტეტრესები. ეს არის ყოველდღიური შრომა მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.

მოკლედ, რომ ვთქვათ საქართველოს პარლამენტში იყო გაფართოებული ოლქის მაჟორიტარი ნიშნავს, მოსახლეობის პულსსზე მუდმივად გეჭიროს ხელი, რათა სათანადოდ შეძლო მათი ინტერესების დაცვა.

- მმართველმა გუნდმა გამოგიცხადათ ნდობა და დაგასახელათ გაერთიანებული ოლქის კანდიდატად. ამ დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, თქვენ ძალიან მცირე დროში,მეზობელ მუნიციპალიტეტებში, უნდა მოგეპოვებინათ თქვენთვის უცნობი ამომეჩევლის ნდობა, გარდა ამისა იყო სხვა ფაქტორიც - თქვენი ყოფილი გუნდის წევრი, რომელიც ახლა უკვე წარმოდგენილი იყო ოპონენტის პოზიციით, რამდენად რთულ გარემოში მოგიწიათ საარჩევნო კამპანიის განხორციელება?

-ჩვენი ოპონენტების მცდელობის მიუხედავად, წინასაარჩევნო პროცესი წარიმართა თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოში. დესტრუქციული ძალების პროვოკაციებმა, ჩვენ და ჩვენი მხარდამჭერები უფრო გაგვაძლიერა და მეტი შემართება მოგვცა. ძალიან საინტერესო და პოზიტიური საარჩევნო კამპანია გვქონდა. მაჟორიტარულ ოლქში შევხვდით ყველა სოფლის, დაბისა და ქალაქის მოსახლეობას, ვესაუბრეთ უამრავ ადამიანს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა დადებითად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, რომლის ფარგლებშიც არაერთი ადამიანი სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით. რაც შეეხება, როგორც თქვენ ამბობთ, უცნობი ამომრჩვლის ნდობის მოპოვებას - მე მათ წინაშე წარვსდეგი გულწრფელობით , ჩემს მიერ განხორციელებული საქმეებით და მხოლოდ რეალური დაპირებებით. განვლილი ოთხი წლის მანძილზე პარლამენტშიც აქტიურად ვმუშაობდი და ვიცავდი ამომრჩევლის ინტერესებს, ასევე მოქალაქეებთანაც გვქონდა მუდმივი კომუნიკაცია. შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში, რეაგირების გარეშე არ დაგვრჩენია არცერთი შემოსული განცხადება თუ შეტყობინება. ყოველთვის ვიყავი ღია, ყველა ადამიანს ჰქონდა და აქვს საშუალება თვალი ადევნოს ჩემს საქმიანობას. მუდამ იქ ვარ სადაც ჩემს ხალხს ვჭირდები. ვფიქრობ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიიღო საზოგადოებამ გადაწყვეტილება, მე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათი ნდობა გავამართლო.

მოგეხსენებათ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ჩვენი ოპონენტების მხრიდან მატულობდა დესტრუქციული ქმედებები, ამ ადამიანებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდათ, ცდილობდნენ წინასწარ დადგმული პროვოკაციებით ყურადღება მიექციათ და არჩევნებისთვის ჩრდილი მიეყენებიათ, თუმცა ჩვენი საზოგადოება ადეკვატურად აფასებდა მოვლენებს, ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან კარგად გვიცნობს და მათი ჩვენდამი დამოკიდებულება 31 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან დააფიქსირეს და პირველივე ტურში გავიმარჯვეთ.

- გაერთიანებულ ოლქში ამომრჩევლის 55,44%-მა დაგიჭირათ მხარი, არა მარტო ბოლნისში, არამედ თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებიც მოგებული გაქვთ ხმათა უმრავლესობით. ელოდით ამ შედეგს? და რას ეტყოდით ამომრჩეველს, როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?

- ჩემთვის, როგორც ყოველთვის ახლაც ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჩემი ამომრჩევლის ინტერესების დაცვა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მხარდაჭერა იქნება. მთელი ჩემი ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსი მიმართული იქნება ამომრჩეველთან მუშაობაზე და მათი ინტერესების ლობირებაზე საქართველოს პარლამენტში. ვაპირებ ისევ პატიოსნად ვემსახურო ჩვენს საზოგადოებას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანი, ვუსმენთ ხალხის ხმას და ვცდილობთ ყოველთვის გავითვალისწინოთ მოსახლეობის აზრი. ჩვენი საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობაა და მათ უნდა ჰქონდეთ ადგილზე განვითარების საშუალება, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის, დასაქმების, კარიერული ზრდის შესაძლებლობა.

მეტი რესურსი უნდა გამოვყოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდებს თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მივცეთ ბიზნეს აქტივობებში ჩართვის საშუალება. ასევე უნდა შევქმნათ სხვადასხვა სახის სივრცეები, მათ შორის სპორტული და ინტელექტუალური დასვენებისთვის.

განვაგრძობთ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კეთილმოეწყობა ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა. გავზრდით მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების ხარიხს, იქნება 24 საათიანი წყალმომარაგება. გაგრძელდება სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულებში ავაშენებთ ახალ საბავშვო ბაღს,ასევე გაგრძელდება არსებულის რეაბილიტაცია. დაწყებულია და ბოლომდე მივიყვანთ სოფლების გაზიფიცირების პროექტს .

მაქსიმალურად გამოვიყენებთ რეგიონში არსებულ ტურისტულ პოტენციალს და განვავითარებთ სხვადასხვა მიმართულების ტურიზმს (ეკო ტურიზმს, სათავგადასავლო, კულტურულ, პილიგრიმულ და აგრო ტურიზმს). შევქმნით თანაბარ შესაძლებლობებს და ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოს, სადაც ყველას ექნება საკუთარი თავის რეალიზების საშუალება .

ვიმუშავებთ რეგიონში ინვესტიციების მოზიდვაზე. ახალგაზრდების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით განვახორციელებთ პროგრამებს, რაც მისცემს მათ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ ერთეულებში შევქმნით ახალგაზრდულ ცენტრებს, სადაც ახალგაზრდები

დაეუფლებიან სხვადასხვა უნარებს , მიიღებენ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას.

ხელს შევუწყობთ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას, გავაგრძელებთ საირიგაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციას.

ჩვენი კონსტიტუციის თანახმად - ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი . ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს რათა კიდევ უფრო დავიცვათ გარემო და უზრნველვყოთ მდგრადი ეკოლოგიური განვითარება.

რაც შეეხება პირველივე ტურში, დამაჯერებლად გამარჯვების მოლოდინებს - სიმართლე გითხრათ, ასეთი მოლოდინი ნამდვილად გვქონდა, ჩვენმა გუნდმა ძალიან აქტიურად, თავდაუზოგავად და პატიოსნად იმუშავა და აქ, არ ვგულისხმობ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდს. კარგად დაგეგმილ, მიზანმიმართულ შრომას კი ყოველთვის მოაქვს შესაბამისი შედეგი...

მადლობა ბატონო გოგი, გისურვებთ წარმატებებს!

ნინო კარგარეთელი

მემორანდუმის ფარგლებში სოფელ ტანძიაში ეკონომიკური ინიციატივები განხორციელდება

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი ტანძია ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველი და თვალსაჩინო ლოკაცია გახდება, აქ მალე ტურისტულ-სამეწარმეო ინფრასტრუქტურა მოეწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე ეკონომიკის გაძლიერებას, მეწარმეობის განვითარებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის მემორანდუმს ხელი მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში (WNDP) ლუიზა ვინტონმა მოაწერეს.

,,საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელ ლუიზა ვინტონისთან ერთად, ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომლიც სოფელ ტანძიის თემის მდგარდ ეკონომიკურ განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობებში ჩართულობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. გაეროს განვითარების პროგრამისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით სოფელ ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავაჭრო დახლები, სახელოსნოები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები მოეწყობა. გრანტის ფარგლებში, ასევე მუზეუმის ელექტრონული პლატფორმა გაკეთდება, სადაც შესაძლებელი იქნება მუზეუმისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტურისტული სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება. ეს პროექტი ბოლნისის მუნიციპალიტეტში ტურისტული სექტორის განვითარებას უდავოდ დაეხმარება, ადგილობრივი მცირე ბიზნესის სტიმულირებას ხელს შეუწყობს, რაც ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია", - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

შეთანხმების ფარგლებში სოფელ ტანძიაში ლიტერატურული მუზეუმის ეზოში მოეწყობა სხვადასხვა ობიექტები, სადაც ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია იქნება წარმოდგენილი.

ახალი ინიციატივის მიზანია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ოთხ რეგიონში განხორციელდება.

რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მასშტაბური პროგრამა საქართველოს მთავრობის, შვეიცარიის და ავსტრიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოების ხელშეწყობით ხორციელდება, ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა 2020 წლის ბოლომდე გაგრძელდება და მისი შედეგებით ადგილობრივი მცხოვრებლები, ბიზნესმენები და სათემო გაერთიანებები ისარგებლებენ.

მაგდა დევნოზაშვილი

ოჯახის ექიმის/სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად ახალი საინფორმაციო პორტალი მოქმედებს

- მოქალაქეებს ახალი საინფორმაციო პორტალის საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, ოჯახის ექიმის ვინაობისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების შესახებ.
- პორტალზე პირადი ნომრის მითითებით, მოქალაქეს შეუძლია გაარკვიოს, თუ რომელ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაშია რეგისტრირებული და ასევე იღებს ინფორმაციას ოჯახის ექიმის ვინაობის შესახებ, რომელიც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობას განახორციელებს.

თუ მოქალაქე სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს, ან იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც რეგისტრირებულია.

- თუ მოქალაქე სარგებლობს კერძო დაზღვევით უნდა დაუკავშირდეს სადაზღვეო კომპანიის ოჯახის ექიმს.
- თუ მოქალაქე არ არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი და არც კერძო დაზღვევით სარგებლობს, ან არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი, მაგრამ არცერთ სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დარეგისტრირებული, უნდა დაუკავშირდეს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505
- საინფორმაციო პორტალის ამოქმედების მიზანი, 112-ში განხორციელებული ზარების შემცირება და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.
- ოჯახის ექიმის/სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ საინფორმაციო პორტალს: http://ambulatoria.moh.gov.ge/ ან დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505

28 ნოემბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი შეზღუდვები ამოქმედდა

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით,

28 ნოემბერი - 31 იანვრის ჩათვლით:

ქვეყნის მასშტაბით იზღუდება:

· 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა; გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე - 31 დეკემბრის ღამე და ასევე შობის ღამე - 6 იანვრის ღამე;

· მგზავრების რეგულარული საქალაქთაშორისო გადაყვანა, მათ შორის - რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით. მსუბუქ ავტომობილებზე (მათ შორის ტაქსებზე) არ წესდება შეზღუდვა;

· რესტორნები და კვების ობიექტები მთლიანად გადადიან გატანის სერვისზე. დასაშვებია:

- პროდუქტის გატანა ე.წ. takeaway
- „დელივერი"
- „დრაივი"

· ფიტნეს დარბაზებისა და საცურაო აუზების მუშაობა;

· ყველა სახის კონფერენციის, ტრეინინგის, კულტურული, გასართობი ღონისძიებების ჩატარება - დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით.

· სპორტული, სახელოვნებო და კულტურული წრეების/სტუდიების საქმიანობა.

დიდ ქალაქებში - ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში, ქ.თელავში - და სათხილამურო კურორტები - ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძსა და მესტიაში დამატებით წესდება შემდეგი შეზღუდვები:

· ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ.ზუგდიდის საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა;

· სავაჭრო ობიექტები (გარდა სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიებისა და პრესის ჯიხურებისა) მუშაობენ მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში;

· ღია და დახურული ბაზრობები არ მუშაობენ. ფუნქციონირებას აგრძელებენ აგრარული ბაზრები;

· სკოლები, პროფსასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (გარდა სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებისა) სრულად გადადიან დისტანციურ რეჟიმზე;

· კერძო და საჯარო საბავშვო ბაღები აჩერებენ მუშაობას.

სათხილამურო კურორტებზე ასევე:

· სასტუმროების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად;

· ასევე, ჩერდება სათხილამურო ტრასებისა და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება.

24 დეკემბერი - 2 იანვრის პერიოდში ხდება შეზღუდვების შემსუბუქება:

ქვეყნის მასშტაბით:

· იმუშავებენ სავაჭრო ცენტრები, ღია და დახურული ბაზრობები;

· აღდგება როგორც მუნიციპალური, ისე - საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა.

3 იანვარი - 15 იანვრის პერიოდში

ქვეყნის მასშტაბით:

· ცხადდება უქმე/დასვენების დღეები;

· აღდგება ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებდა 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე პერიოდში;

· არ მუშაობს საჯარო და კერძო დაწესებულება, გარდა ბანკებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და სერვისებისა.

16 იანვარი - 31 იანვარი

ქვეყნის მასშტაბით:

· აღდგება მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა, სავაჭრო ობიექტებისა და ღია და დახურული ბაზრობების მუშაობა (გარდა შაბათ-კვირისა).

· შაბათ-კვირას ტრანსპორტი, სავაჭრო ობიექტები და ბაზრობები აჩერებენ მუშაობას

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეზღუდვები არ ეხება:

· ყველა სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, მათ შორის:

1. სახელმწიფო და კერძო სამშენებლო-სარემონტო საქმიანობას;
2. საბანკო და საფინანსო საქმიანობას;
3. სურსათის, ცხოველებისსაკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიების და პრესის ჯიხურების მუშაობას;
4. დელივერსა და გატანის სერვისებს;
5. სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების მუშაობას;
6. ავტოტექმომსახურებისა და ტექნიკური ინსპექტირების სერვისებს;
7. საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო სერვისებს;
8. აგრარული ბაზრობის მუშაობას
9. და სხვ.

· არ იზღუდება მსუბუქი ავტომობილით (მათ შორის - ტაქსით) გადაადგილება.

,,გაცემას მეტი ნეტარება მოაქვს, ვიდრე შეძენას, ამისთვის დავიბადე ''

გაზეთი „ბოლნისი“ აგრძელებს ნიჭიერი ადამიანების საზოგადოებისთვის გაცნობას, ამჯერად გიამბობთ ახალგაზრდა გოგონაზე, რომელსაც სიკეთე თან დააქვს. ეს ბოლნისელი თეკო ბასილაშილია, პროფესიით ფსიქოლოგი, მწერალი, უყვარს სიმღერა, ცეკვა. ცდილობს არ გაჩერდეს, ბევრს მუშაობს, სხვებზე ზრუნვა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი მიზანი მშვენიერის და ამაღლებულის ძიებაა, როგორც თავად ამბობს, ადამიანმა საკუთარი თავში ბევრი რამ უნდა შეცვალოს და სამყაროც შეიცვლება. წერს ბავშვობიდან, ძირითადად სიკეთეზე, სადაც ყოველთვის ბოროტება მარცხდება. თუმცა, ჩანახატების უმრავლესობა, ნაგვის ურნაში ხშირად ხვდებოდა, თავიდან არავის აჩვენებდა, რადგანაც მისი იყო, აზრებს მხოლოდ ფურცლებს უზიარებდა. წლების წინ, შემთხვევით მომხდარმა ამბავმა, წიგნის დაწერა გადააწყვეტინა. რეალურ ისტორიაზე დაყრდნობილი ამბავი ფურცლებზე გადაიტანა, პროფესიული ალღოც გამოიყენა და ფსიქოლოგმა თხრობას, რჩევებიც დაუმატა. საკითხავად მარტივი, სულში ჩამწვდომი რომანი ადამიანებს დაფიქრების საშუალებას აძლევს და ეხმარება სირთულის დაძლევაში. ავტორს ჩანაფიქრი ზუსტად გამოუვიდა.

„ქალაქ ბოლნისში დავიბადე, ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა, მშობლები მანებივრებდნენ. როგორც თითქმის ყველას, მეც ძალიან მიყვარდა ცეკვა, სიმღერა, რაც დღემდე ძალიან კარგად გამომდის. ჩემი ოცნებაა სიმღერის ჩაწერა, რასაც აუცილებლად ავიხდენ. სამწუხაროდ, მამა აღარ მყავს, დედა კი ყოველთვის მხარში მიდგას, მისი დამსახურებაა შემდგარი ადამიანი რომ ვარ. სიკეთის კეთება ყველაზე დიდ ბედნიერებას მანიჭებს, რითაც შემიძლია, ადამიანებს, იმით ვეხმარები, ეს შეიძლება არა ფინანსური, არამედ მორალური გვერდში დგომა იყოს, ერთ თბილ სიტყვას სამყაროს შეცვლა შეუძლია. ძალიან გული მტკივა ქუჩაში მიუსაფარ მოხუცებს და ბავშვებს რომ ვხედავ, არ მინდა ეს ასე იყოს.

-რატომ გადაწყვიტეთ წიგნის დაწერა?

-პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, ქოუჩი, ძალიან მიყვარს ადამიანებთან მუშაობა, გულთან ახლოსაა, ბოლომდე ვიხარჯები. რაც შეეხება წერას, ბავშვობაში ვწერდი ჩანახატებს, თემა სიკეთე იყო, ბუნებითაც ასეთი ვარ. მოწყენილი იშიათად ვარ, ვიცი რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ვცდილობ, ყველა პრობლემას თავი მარტივად დავაღწიო. ცხოვრება ომია, შეიძლება დაეცე, მაგრამ წამოდგომა აუცილებლად უნდა შეძლო. გითხარით, რომ ბავშვობაში ვწერდი, თუმცა ჩემი წიგნი, მაშინდელი ჩანახატებისგან, ძალიან განსხვავდება.

-როგორც ვიცით, „შემოდგომის არეული დღეები“ რეალურ ამბავზეა.

-წიგნის დაწერას არასოდეს ვიფიქრებდი, რომ არა ერთ უცნაური ამბავი, ეს ბედისწერაა. დედა ემიგრანტი მყავს, მასთან ვისვენებდი ზაფხულში. ბოდრუმი ულამაზესი ქალაქია, მიყვარს სეირნობა, ფინჯან ყავას მივირთმევდი, ხელზე იქ შეძენილი ლამაზი თვლებით მოჭედილი სამკაული მეკეთა, სწორედ ამით დაიწყო ყველაფერი, არავის ვიცნობდი, თუმცა ვიგრძენი ვიღაცის დაუინებული მზერა, ეს იყო ასაკში შესული ქალბატონი, რომელსაც მიზეზი ვკითხე, რატომ მიყურებდა ასე, ჩემდა გასაკვირად ცრემლები წამოუვიდა და დამპირდა, თუ კიდევ ოდესმე მნახავდა მის ისტორიას მომიყვებოდა, არ ვიცი რა ამბავი იყო, ან მე რატომ ამომირჩია, თუმცა მივხვდი, რაღაც აწუხებდა, რისი გაზიარებაც სურდა. მითხრა, რომ სამაჯურმა გაახსენა წარსული. ბოდრუმი დიდია, ვერ წარმოვიდგენდი, თუ კიდევ შემხვდებოდა ის ქალბატონი, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, ისევ სანაპიროზე შევხვდით და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება მე გამანდო. დიდხანს ვფიქრობდი, იმდენად დიდი იყო ეს გრძნობა, ემოცია გულში ვერ დავიტიე, ავიღე კალამი, ფურცელი და შთაგონებაც მოვიდა. ადამიანს სიხარულიც აწერინებს და ტკივილიც. მე ამ ემოციებმა დამაწერინა.

-რამდენი ხანი მუშაობდი წიგნზე?

-წიგნზე ერთი წელი ვმუშაობდი, შთაგონება ინდივიდუალურად ეწვევა ხოლმე ადამიანს. თუმცა როცა „მუზა“ მოდიოდა, თავიდან ბოლომდე მიპყრობდა, მეც გმირის ისტორიის, მონაწილე ვხდებოდი, სიტყვას სიტყვა მოსდევდა, თითქოს უხილავი ძაფებით იქსოვებოდა ახალი, საინტერესო. ამბავი რეალობაა, თუმცა ჩემი ფანტაზია და შესაძლებლობაც ჩავდე, პროფესიის დახმარებით შეპარული რჩევებია, გმირებზე მორგებული, ეს ისეთი რამაა, რაც აუცილებლად მიგვახვედრებს, რომ გამოვალი მდგომარეობა არ არსებობს, ყველა სირთულე შეიძლება დაძლიო ადამიანმა. როდესაც ვწერ, მიჭირს რეალურ სამყაროში დაბრუნება. სანამ ჩემი ნაწარმოები მზის სინათლეს იხილავდა, საკმაოდ რთული გზა განვლო, ადვილი არ არის წიგნის გამოცემა. ჩემი ცხოვრება სავსეა უცნაურობებით, წიგნის რედაქტორიც ასე უცნაურ გარემოში შემთხვევით გავიცანი, რომელიც დამეხმარა. თუმცა, შემთხვევით არაფერი ხდება, მჯერა რომ ადამიანები ასეთ უცნაურ გარემოში, იმიტომ ჩნდებიან, რომ დაგეხმარონ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაში. დღეს უკვე წიგნის შეძენა ბიბლუსის ქსელურ მაღაზიებშია შესაძლებელი,სოციალურ ქსელში კი „ოჯახის ბიბლიოთეკის“ გვერდზე.

-როგორც ვიცი, ახალ წიგნზე დაიწყე მუშაობა?

- ერთ ცნობილ მწერალს აქვს ნათქვამი, ,,ნუ ელოდები შთაგონებას, ის შეიძლება სრულიადაც არ მოვიდეს“, ვერ დაჯდები და წიგნს ვერ დაწერ, თუ შინაგანმა მემ არ გიკარნახა, ან გარემო ფაქტორები არ დაგეხმარა. მიუხადავად იმისა, რომ ჩემი გმირები რეალური ცხოვრებიდან არიან, მას კიდევ სხვა ბევრი რამ სჭირდება, მარტივი არაა დაჯდე და დაწერო. ახალი წიგნიც „ტკბილი შურისძიება“ მალე დასრულდება, რომლის დასასრულიც ჯერ არ ვიცი, როგორი იქნება. წერის დროს აზრები თვითონ მიდის.

-თუ იცის რეალურმა გმირმა წიგნის შესახებ?

-არა, მე ეს ქალბატონი აღარ მინახავს პანდემიის გამო დედასთან აღარ წავსულვარ. თუმცა წიგნი აუცილებლად ითარგმნება თურქულ და ინგლისურ ენაზე და ვფიქრობ, ამ ქალბატონს მოვძებნი და აუცილებლად წავაკითხებ წიგნს, რომელიც მის ცხოვრებას ასახავს.

-სამომავლო გეგმებზეც გვიამბე?

-გეგმები ბევრია, რასაც აუცილებლად შევასრულებ. ზოგადად ასე არ ვგეგმავ, მომავალი თვითონ გვიჩვენებს ხვალ, ზეგ და შემდეგ დღეებში, რა იქნება. აუცილებლად დავასრულებ წიგნს, ასევე ძალიან მინდა გაყიდული წიგნის თანხიდან ნაწილი ქველმოქმედებას მოვახმარო, აი, სამომავლოდ კი, აუცილებლად გავაკეთებ „სიკეთის სახლს“, სადაც შევძლებ ქუჩაში მყოფი ადამიანებისთვის თბილი გარემოს შექმნას. ჩემთვის გაცემას მეტი ნეტარება მოაქვს, ვიდრე შეძენას.

მაგდა დევნოზაშვილი

ქვემო ბოლნისში 1350 გრძივ მეტრზე ბეტონის გზა მოეწყო

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად, სოფელ ქვემო ბოლნისში შიდა გზის მოწყობის დასრულებული სამუშაოები მოინახულა. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, სოფელში 1350 გრძივ მეტრზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ბეტონის გზა და სანიღვრეები მოეწყო. პროექტი „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა სრულმა ღირებულებამ 643,488 ლარი შეადგინა.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის ჩვენი მოქალაქეების მოთხოვნების დაკმაყოფილება ყოველთვის პრიორიტეტულია. ამიტომ, ქვემო ბოლნისში, პანდემიის მიუხედავად, ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები განვახორციელეთ. მოხარული ვარ, რომ მოსახლეობას ახლა უკვე კომფორტულ გზაზე მოუწევს გადაადგილება. საგზაო ინფრსატრუქტურის მოწყობას ქვემო ბოლნისსა და ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში მომავალშიც კვლავ აქტიურად განვახორციელებთ“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

,,მენტორობა მხოლოდ წოდება და პატივი არაა, მენტორობა უდიდესი მოვალეობაა"

ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ბოლნისის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგს, ლალი ასლამაზაშვილ-დალაქიშვილს, პედაგოგიური გამოცდილებისა და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების გამო, პედაგოგის უმაღლესი წოდება, მენტორი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.

,,მსურს, ქალაბტონ ლალის ეს დიდი წარმატება მივულოცო. ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს სტატუსი უშუალოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ჩხენკელის ბრძანების საფუძველზე მიენიჭა.

ქალბატონ ლალის, მუნიციპალიტეტში, ქართული ენის პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ის წლებია სოფელ ქვემო ბოლნისში ქართულს, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ასწავლის. გამორჩეული პედაგოგიური უნარების დამსახურებით, ლალი მასწავლებლმა მოსწავლეებს არამარტო ქართული ენა შეაყვარა, არამედ ღირსეულ მოქალაქეებადაც აღზარდა ისინი. ნოვატორული სწავლების მისეული მეთოდები ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევს, ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ლალი დალაქიშვილი-ასლამაზიშვილი 2019 წლის ქართულის, როგორც მეორე ენის, საუკეთესო მასწავლებლად დაასახელა.

ვამაყობ, რომ ქალბატონი ლალი სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწეობს და დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთი წარმატების მომსწრეს გაგხვდის.

მუნიციპალიტეტში მენტორი პედაგოგის სტატუსი, ლალი მასწავლებლის გარდა, კიდევ სამ პედაგოგს აქვს მინიჭებული. სასიხარულოა, რომ ასეთი წარმატებული და მისაბაძი პედაგოგები გვყავს, რომლებიც საქართველოს მომავალი თაობის აღზრდის პროცესში ძალ-ღონეს და ინტელექტუალურ რესურსს არ იშურებენ''. აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

მან პროფესიული თვალსაზრისით, საკმაოდ რთული გზა განვლო და აღნიშნულ წარმატებას დიდი შრომის შედეგად მიაღწია.

,,დღეს მე ვარ მასწავლებელი, რომელიც სიხარულით მიდის სისხამ დილით სკოლისაკენ, კოლეგა, რომელიც სიამოვნებით უზიარებს თავის გამოცდილებას, როგორც ბაკალავრებს, ისე სხვა მასწავლებლებს, დღეს მე ვთვლი, რომ სწორედ იქ ვარ, სადაც ჩემი მისიის აღსრულება შემიძლია - პედაგოგიური საქმიანობის უმაღლეს საფეხურზე," ამბობს ქალბატონი ლალი.

ის პედაგოგის ოჯახში დაიბადა, რამაც პროფესიის არჩევაში დიდი როლი შეასრულა, თუმცა ჟურნალისტობაც ძალიან სურდა, ამიტომ მუშაობა რაიონულ გაზეთში დაიწყო და ოცნებაც ასე აიხდინა, როგორც თავად ამბობს, მეტად გამბედავი გახდა, სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობით ხალხზე დაკვირვებაც ისწავლა და პრობლემების გადაჭრის გზებზეც დაიწყო ფიქრი.

გაზეთი ,,ბოლნისი'' გიამბობთ ლალი ასლამაზაშვილი - დალაქიშვილის პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

,,ძნელია საკუთარ თავზე საუბარი, ფიქრი ყველაფერს ლამაზად ალაგებს, მაგრამ, როცა საქმე ახლობელ სფეროს ეხება, იმდენად ბევრი სათქმელი წამოტივტივდება, გიჭირს მათში არსებითის ამოწევა, გაჩერება, ახლაც ასე მოხდა, თავისთავად წამოვიდა სათქმელი...

დავიბადე პედაგოგების ოჯახში, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ჩემს ცხოვრებაში, იმთავითვე ორი სახით შემოვიდა: მოსწავლეც ვიყავი და თან პედაგოგების ტკივილსა და სიხარულსაც ვხედავდი. ალბათ, ამანაც განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი-ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა.

შვილთან ერთად შევაბიჯე სკოლაში, როგორც მშობელმა და როგორც პედაგოგმა. ყველაზე რთულად აღსაზრდელი კლასი შემხვდა, მაგრამ ვეცადე და გამომივიდა - წლის ბოლოს, მათი მისამართით, მხოლოდ ქება ისმოდა".

-შემდეგი საქმიანობის წლებზეც გვიამბეთ, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა.

-ძიება და მიღწეულით განცდილი სიხარული, ახლა ვფიქრობ - რა მეხმარებოდა? ალბათ ჩემი გულწრფელობა და მუდმივად იმაზე ფიქრი, რითი გამხდარიყო საინტერესო ჩემი გაკვეთილები. თუმცა ისე გამოვიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სკოლის წარდგინებით, ენის სახელმწიფო პალატის თანამშრომელი გავხდი.

- ასევე აქტიურად იყავით ჩართული სხვადასხვა პროექტებში, რაში გეხმარებოდათ ეს აქტივობები?

-საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა, პროფესიონალებთან თანამშრომლობა და პირველი პროექტი, რომელმაც დამანახა, რომ შესაძლებელია დამატებითი საშუალებების გამონახვა ყოველდღიურობის გასამრავალფეროვნებლად. პარალელურად, დამოუკიდებელ გაზეთსაც ვრედაქტორობდი. სწორედ მაშინ გამოცხადდა მასწავლებლებისათვის კონკურსი პროგრამაზე ,,ქართული როგორც მეორე ენა", ჩვენ ვიყავით პირველი ტრენერები ამ სფეროში და შემდეგ იყო მრავალი სასიამოვნო დღე, ურთიერთობა სხვადასხვა რაიონის მასწავლებლებთან. მოგვიანებით, ეუთოს დაფინანსებით, ვხელმძღვანელობდი ქართული ენის შემსწავლელ კურსებს (პროექტს ახორციელებდა ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი). ზრდასრულებთან მუშაობამ მასწავლა, რომ თამაშით სწავლება ნებისმიერ ასაკში ამართლებს. პარალელურად, იმავე ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მივიღე ბილინგვური სწავლების მიმართულებით გაწეულ საქმიანობებშიც. ჩვენი ჩართულობით გამოიცა ორენოვანი სწავლების სახელმძღვანელოები.

- შემდეგ მუშაობა დაიწყეთ უთნიკურ აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან, რთული არ იყო?

- სიმართლე გითხრათ, პირველად ძალიან მეშინოდა, თუმცა სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება მქონდა, მაგრამ აქ სხვა იყო.. მთლიანად უცხოენოვანი გარემო, ბავშვები, რომელთა ენაც არ ვიცოდი. შევძლებ? ვეკითხებოდი ჩემს თავს. თუ ვერ შევძლებ, წამოვალ- ვფიქრობდი... პირველივე დღეებიდან მივხვდი, რომ არაერთი სირთულის გადალახვა მომიწევდა, მაგრამ არ წამოვსულვარ, მოსწავლეების თვალებში დანახულმა სხივებმა მაგრძნობინა, რომ მათ ძალიან ვჭირდებოდი. მათთვის მე ვიყავი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ენა კი არა, სხვა ცხოვრებაც უნდა მეჩვენებინა, მესწავლებინა, როგორ ეგრძნოთ თავი, როგორ გამოევლინათ თავისი უნარები, მათთვის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველსაყოფად დამეხმარა ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია "ბოლნისის ენის სახლი", რომელიც სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისათვის, სხვადასხვა საინტერესო საქმიანობას ახორციელებს.

- როგორი მასწავლებელი ხართ?

-დღეს მე ვარ მასწავლებელი, რომელიც სიხარულით მიდის სისხამ დილით სკოლისაკენ, კოლეგა, რომელიც სიამოვნებით უზიარებს თავის გამოცდილებას, როგორც ბაკალავრებს, ისე სხვა მასწავლებლებს, დღეს მე ვთვლი, რომ სწორედ იქ ვარ, სადაც ჩემი მისიის ასრულება შემიძლია- პედაგოგიური საქმიანობის უმაღლეს საფეხურზე.

- პედაგოგისთვის ყველაზე სასურველი, მენტორის, სტატუსის მფლობელი ხართ, რას ნიშნავს ეს სტატუსი თქვენთვის?

- მენტორის სტატუსამდე იოლი ნაბიჯებით არ მოვსულვარ. ჯერ კიდევ მაშინ ჩავები პროფესიული განვითარების სქემაში, როცა ეს სავალდებულო არც იყო, ალბათ იმიტომ, რომ მიყვარს სიახლეებთან, სიძნელეებთან ჭიდილი. არ ვჩერდები, ყველა სიახლეს ვეცნობი და ვცდილობ, გადავიტანო ჩემს საქმიანობაში, მაგრამ პოლიტიკური პროცესები ადამიანების ბედზეც აისახება და მიუხედავად იმისა, რომ არაერთი აქტივობა განვახორციელე, ახალმა სქემამ თითქმის ყველაფერი გაანულა და თავიდან ჩავები წინსვლის „მარათონში„ მაგრამ მარტო არა, ჩემთვის არაფერია საკუთარ თავზე ზრუნვა, თუ ჩემს ირგვლივ მყოფები უკან ჩამორჩებიან, ამიტომ , ცხადია , კოლეგებსაც, (და არა მხოლოდ ჩემი სკოლის) ვეხმარებოდი. და დღეს ჩემს კათედრაზე თითქმის ყველა მასწავლებელი, უფროსის სტატუსს რომ ატარებს, ამაში დიდი წვლილი მიმიძღვის.

- პედაგოგიური სფეროს განვითარებისთვის სხვადასხვა მიმართულებით გიწევთ მუშაობა...

-უამრავი მოვალეობა მაკისრია, როგორც პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება"-მასწავლებელს, ჩართული ვარ სატრენინგო მოდულებზე მომუშავე ჯგუფის საქმიანობაში და ჩვენ მიერ შექმნილი რესურსებით არაერთი ქართულის მასწავლებელი გადავამზადეთ, ვარ მერვე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის (თუშური-შარაშენიძე) სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნის ერთ-ერთი ავტორიც, სექტემბერში გავხდი წამყვანი მასწავლებელი და საჭირო 25 კრედიტის ნაცვლად 45 კრედიტ ქულა მქონდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავი მოვიწონო, უბრალოდ ავღნიშნავ, რომ ბევრი მიმართულებით მიწევს მუშაობა, მხოლოდ ისე, რომ მოსწავლეები არასოდეს დამვიწყებია. ახლა მენტორობისათვის ვემზადებოდი და მინისტრის ბრძანების შესახებ შემთხვევით შევიტყვე, გაოგნებული ვიყავი, მაგრამ სიამაყე კი არა, ძალის მომატება ვიგრძენი, მეტის საკეთებლად. მენტორობა მხოლოდ წოდება და პატივი არაა, მენტორობა უდიდესი მოვალეობებიცაა.

- რას ავალდებულებს მენტორის სტატუსი პედაგოგს?

-მენტორი არის სკოლის განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობების ინიციატორი; კოლეგებთან ერთად გეგმავს სკოლის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს; ეხმარება კოლეგებს შემოქმედებით და ინოვაციურ საქმიანობაში; ქმნის სასწავლო-მეთოდურ რესურსებს.

უზრუნველყოფს ინტერკულტურული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას სკოლასა და სასკოლო თემში. არის სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად.

მენტორი ეხმარება კოლეგებს დამოუკიდებლად მოაგვარონ წარმოშობილი კონფლიქტი და ამკვიდრებს სკოლაში მედიაციის კულტურას.

მენტორი გეგმავს და წარმართავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობ სასკოლო აქტივობებს. ეს მოვალეობების მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია. სამუშაო ბევრია, დრო კი-რთული, გარემო- სპეციფიკური. მე მზად ვარ!

- ქალბატონო ლალი მადლობას გიხდით საინტერესო ინტერვიუსთვის, კიდევ ერთხელ გილოცავთ მენტორის სტატუს და უამრავ წარმატებას გისურვებთ.

მაგდა დევნოზაშვილი

ისინი ისტორიას საკუთარი ცხოვრებით წერდნენ

,,მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“ ,,აწმყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს“

ილია მოვიშველიეთ და შევეცადეთ ისეთი ადამიანების ხსოვნა გავაცოცხლოთ, ვინც მთელი ცხოვრება წერდა პატარა ისტორიას, ქმნიდა ღირებულს, საინტერესოს, ვინც უბრალოდ მუშაობდა, დაბალ თუ მაღალ პოზიციაზე, ვინც გულწრფელად ემსახურებოდა ოჯახს და ქვეყანას, ვინც ზრდიდა, აფრთიანებდა და ცხოვრების ასპარეზზე უშვებდა მერცხალა გოგო ბიჭებს. ასეთები ბოლნისში მრავლად არიან, ისინი ახსოვთ, ისინი უყვართ, სწორედ მკითხველის თხოვნაა დავწეროთ მათზე, გავიხსენოთ და მომავალ თაობას გადავცეთ ამბავი, მათი მისაბაძი ცხოვრების შესახებ. ჩვენი გაზეთის მიზანია, გავიხსენოთ უბრალოებით გამორჩეულები, ცნობილები, თუ თავისი ცხოვრებით მოკრძალებულები, ისინი, ვინც ახსოვთ მეზობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, სკოლებს, ბაღებს, ოჯახებს, თუ აღზრდილებს. სტიმული და იდეა თამარ ბობოხიძისგან წამოვიდა, მან გვიამბო, მან მოგვიტანა წერილი და მისივე თხოვნით, რუბრიკა ,, ჩვენ გვახსოვს“, ვენერა ბერძენიშვილის გახსენებით დავიწყეთ.

თამარ, რატომ მაინც და მაინც ახლა და, რატომ ქალბატონი ვენერა ბერძენიშვილი?

-დიდი მადლობა, რომ ჩემი თხოვნა გაითვალისწინეთ და მომეცით საშუალება გაზეთის საშუალებით გავახსენო საზოგადოებას ეს დიდებული ქალბატონი, მინდა მათაც იცოდნენ ის, რაც მე ვიცი მის შესახებ და რატომაც ვცემ პატივს. რატომ მაინც და მაინც ახლა, შევეცდები აგიხსნათ, ვფიქრობ, განსაკუთრებით უპრიანია ამ თემაზე საუბარი, როდესაც ბავშვები წიგნს და ბიბლიოთეკას დაშორდენ, მინდა მათ შეიგრძნონ ბიბლიოთეკის და ძველი, გაცრეცილი წიგნის სურნელი, მინდა ყველაფერმა ძველი დატვირთვა დაიბრუნოს. მინდა ურთიერთობები ისეთი ლამაზი და ხალასი იყოს, როგორც მაშინ, მინდა ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ, იყოს ერთგულება, არ მინდა ღალატი, გაუტანლობა, უწიგნურობა გამეფდეს დედამიწაზე. ეს თითოეული ჩვენგანის ტკივილია და ყველამ უნდა დავდოთ ჩვენი წილი, ყველამ უნდა გავითავისოთ ჩვენი საკეთებელი.

ბავშვობაში როგორ ხდებოდა, ვინ გასწავლიდათ ბიბლიოთეკასთან და ,,გაცრეცილ“ წიგნთან ურთიერთობას?

- ბავშვობაში, როდესაც პატარები კულტურისა და დასვენების პარკს ვსტუმრობდით და ვერთობოდით, შენობას, რომელსაც ,,ბიბლიოთეკა“ ეწერა, შორიდან ვუტრიალებდით. ერთხელ ერთად შეგროვილ ბავშვებს, ლამაზი ქალბატონი მოგვიახლოვდა, რაც ყველაზე ძალიან დამამახსოვრდა, მოხდენილად ესვა წითელი ტუჩსაცხი, დაგვიყვავა, შეგვიძღვა საბავშვო ბიბლიოთეკაში, სადაც ლამაზი, ყვავილებით გაწყობილი ინტერიერი და წიგნების სუნი დაგვხვდა, დაუვიწყარია ეს შთაბეჭდილება ჩემთვის. ეს იყო ბიბლიოთეკის გამგე დაუვიწყარი, თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი ვენერა ბერძენიშვილი.

- მაინც როგორ მიგიყვანათ წიგნამდე?

-ქალბატონი ვენერა მოკლედ გვესაუბრა წიგნის სიყვარულზე და მის გავლენაზე ადამიანის განვითარებაში. გადმოიღო საბავშვო ზღაპრების კრებული, დაიწყო კითხვა, აღგვიძრა ინტერესი და გვითხრა, თქვენ შეიძლება გაწევრიანდეთ ბიბლიოთეკაში, გაიტანოთ ეს და კიდევ მრავალი წიგნი, მოხვიდეთ და მომიყვეთ, რა მოგეწონათ, რამ მოახდინა შთაბეჭდილება თქვენზე, ან გააკეთოთ ჩანაწერებიო.

- თუ გახსოვთ პირველი წიგნი?

-ჩემი პირველი წიგნი ყაზახური ზღაპრები იყო, ათი დღის შემდეგ დავაბრუნე წიგნი. ქალბატონმა ვენერამ გულში ჩამიხუტა და მართლაც გამომკითხა წიგნის შესახებ, მომისმინა გულდასმით და მითხრა, შენ კარგად გამოგაქვს წიგნიდან შინაარსი, შეგიძლია ხშირად გაიტანო წიგნები და როცა სურვილი გექნება, მაშინ მესაუბრე წიგნის შინაარსის თაობაზეო. ასევე მახსენდება ნათელა რეხვიაშვილი, კეთილი ქალბატონი, რომელიც მუდმივად წიგნით ხელში გვხვდებოდა.

- რატომ მოგეწონა მაინც და მაინც ყაზახური ზღაპრები?

-არ მახსოვს, რა მომწონდა ყაზახურ ზღაპრებში, საინტერესო და მარტივად საკითხავი იყო, თანაც პირველი წიგნი იყო ბიბლიოთეკიდან გატანილი, ალბათ, ამან განაპირობა.

- ბიბლიოთეკაში სხვადასხვა სახის ღონისძიებები ეწყობოდა?

-ქალბატონი ვენერა საბავშვო ბიბლიოთეკაში ხშირად აწყობდა ღონისძიებებს და აქტიური მკითხველები ვიღებდით მონაწილეობას, ამით მოტივაციას გვიმაღლებდა, რომ წიგნთან ახლო ურთიერთობა გვქონოდა. ეს ყველაფერი გამორჩეული და დაუვიწყარია, ბევრ ცოდნას და გამოცდილებას გვაძლევდა, გვაყვარებდა წიგნს, გვიმუშავებდა მეტყველებას და გვასწავლიდა საზოგადოებასთან ურთიერთობას.

- მაინც, რისი თქმა გინდა ამ მოგონებით?

- ამ მოგონებით მინდოდა მადლიერება გამომეხატა ქალბატონი ვენერას მიმართ, მან შემაყვარა წიგნთან ურთიერთობა და სწორი მიდგომით შეგვაყვარა ბავშვებს საბავშვო ბიბლიოთეკა და კითხვა. მიუხედავდ იმისა, რომ იმ პერიოდში, არ წარმოადგენდა წიგნის შეძენა პრობლემას, შეიძლება არც გადაგვეშალა და წაგვეკითხა, ბავშვობიდან რომ არ გვესწავლა ურთიერთობა წიგნთან. ის, რომ ბიბლიოთეკაში გვხვდებოდა თბილი და მოსიყვარულე ატმოსფერო, ვიღებდით ღონისძიებებში მონაწილეობას, უკვე ჩვევაში ჩამოგვიყალიბდა წიგნის კითხვა. ჩემს მაშინდელ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას შეძლებისდაგვარად გადავცემ ჩემს ირგვლივ მყოფ მშობლებს და ბავშვებს და ვურჩევ, საბავშვო ბიბლიოთეკაში გაწევრიანებას. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ქალბატონ ვენერა ბერძენიშვილს, ყოველთვის თბილად გამახსენდება მისი სითბო და სიყვარული. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი სამსახური საბავშვო ბიბლიოთეკაში, ქალბატონი ეთერ გოგშელიძის ხელშეწყობით,ასვე ჩემი პირველი ხელმძღვანელი, ქალბატონი მზიური კაპანაძე. ეს წერილი მინდა უბრალოდ, მადლიერება იყოს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ბოლნისურ ცხოვრებაში რაღაც თქვა და კვალი დატოვა.

- თამარ, შენ მოგვაწოდე იდეა, არ დავივიწყოთ ისინი, ვინც უბრალოებით თუ პომპეზურობით ქმნიდა და ქმნის, ვინც თავს გვამახსოვრებდა და ახლაც ასეა, ვიცი რომ ბევრი გყავს ასეთები, ვის შემოგვთავაზებდი, რომ შემდგომში ჩვენი გაზეთის მეშვეობით გავიხსენოთ?

-ასეთები მრავლად არიან, ზოგი წასული, ზოგიც ცხოვრების ავანგარდშია და ისევ აქტიურად აგრძელებენ მოღვაწეობას. ახლა ვინც მახსენდება, ნიურა კოპალიანი, უმაგრესი ქალბატონი, ექიმი ციური მუხაგულიშვილი, მერი დემურაშვილი, მუსიკის მასწავლებელი და კიდევ მრავალი. მე თქვენთან აუცილებლად ვითანამშრომლებ, მადლობა, რომ ამ მშვენიერ საქმეს მოკიდეთ ხელი.

მადლობა თქვენ, თამარ.

პ.ს. ვფიქრობთ, მოგეწონებათ წარსულის გახსენება, ვფიქრობთ ითანამშრომლებთ ჩვენთან და მოგვაწოდებთ იმ ადამიანების ისტორიას, ვინც თქვენთვის ღირებულია: კარგი ადამიანი, მასწავლებელი, ინჟინერი, მწერალი, მეეზოვე, მდივან-მემანქანე, რაღაცის თუ ვიღაცის უფროსი, თუ უმცროსი, ან უბრალოდ კოლორიტი, ენაკვიმატი, კარგი მეზობელი ..ყველას, ყველას გეკუთვნით ადგილი ჩვენი გაზეთის ფუცლებზე, იმიტომ, რომ ეს თქვენია, უთქვენოდ ვერც ჩვენ ვიქნებოდით, მადლობა რომ არსებობთ.

ბელა ონიანი

სოფელ ბოლნისში სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, სოფელ ბოლნისში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, ხმათა უმრავლესობით, სოფელში სანიაღვრე არხის მოწყობა მოითხოვეს.მოსახლეობის თხოვნის შესაბამისად, სოფელში 120 გრძივი მეტრის სანიაღრე არხის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული სამუშაოსთვის 20,650 ლარია გამოყოფილი. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და ადგილობრივი თვითმართველობის თანადაფინანსებით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ ბოლნისში სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა.

,,Mən həmişə xalqımın mənə ehtiyacı olduğu yerdə oluram“,-Qoqi Meşveliani ilə müsahibə.

,,Qoqi Gürcüstanın ali qanunverici orqanında Bolnisinin, Dmanisinin, Tetritskaronun və eləcə də Tsalkanın səsi olacaq. O, bizim qrupumuzun şərəfli nümayəndəsi, bu regionda hər bir insanın narahatçılığını bölüşən vicdanlı və peşəkar insandır".

Hakim partiyanın liderləri xalqa Qoqi Meşvelianinin namizədliyini bu sözlərlə təqdim etdilər, ondan sonra birləşmiş dairədə olduqca çətin və rəqabətli mühit mövcud idi. Həmin vaxt ərzində Qoqi Meşveliani hər bir şəhər və kənd əhalisi ilə görüşməyi bacararaq özünün də dediyi kimi onlara səmimi və real söz verdi və nəticədə uyğun oldu.

,,Həmişə xalqımın mənə ehtiyacı olduğu yerdə oluram. Düşünürəm ki, bunları nəzərə alaraq xalq qərar verdi, mən də onların mənə olan etibarını doğrultmaq üçün əlimdən gələni edecəyəm,“ deyə Qoqi Meşveliani bildirdi.

Xatırlatmaq istəyirəm ki, ,,Gürcü Arzusu“-nun namizədi Qoqi Meşveliani 31 oktyabr 2020-ci il tarixində Gürcüstanın 14 saylı majoritar seçki dairəsində keçirilən parlament seçkilərində səslərin çoxunu almış və elə ilk turdaca inamlı qələbə qazanmışdı.

Cənab Qoqi,sizi səlamlayıb qəzet adından parlament seçkilərində qələbənizi təbrik edirəm. Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalka bələdiyyələrinin Gürcüstan parlamentində təmsilçi olmağınız sizin üçün nə deməkdir?

- Sizi və oxucularınızı salamlayıram. Həm də fürsətdən istifadə edərək Bolnisi, Dmanisi, Tetritsaro və Tsalka sakinlərinə bizə yüksək fəallıq və etimad göstərdiklərinə görə bir daha təşəkkür etmək istəyirəm. Ölkənin ali qanunverici orqanında dörd bələdiyyənin nümayəndəsi olmaq, ilk növbədə böyük bir məsuliyyət deməkdir, yəni bu insanların səsini parlamentə çatdırmağı və böyük lobist olmağını tələb edir ki, Dmanislilərin Tetritskaroluların və Tsalkalıların təşəbbüsləri, ehtiyacları, onların qanuni mənafelərini qoruya biləsən. Əhalinin üzləşdiyi çətinliklərin öhdəsindən gəlmək üçün gündəlik əməkdir. Bir sözlə, Gürcüstan parlamentində geniş bir dairənin nümayəndəsi olduğunu söyləmək, mənafelərini lazımınca qoruya bilmək üçün əhalinin nəbzini daim tutmaq deməkdir.

1.İdarə heyəti sizə güvəndiyini elan etdi və sizi Birləşmiş Dairəyə namizəd göstərdi. Bu böyük məsuliyyətlə yanaşı, qonşu bələdiyyələrdə çox qısa müddətdə sizə məlum olmayan bir seçicinin etimadını qazanmalı idiniz və bununla yanaşı başqa bir amil də var idi- indi namizədliyini verən keçmiş komanda üzvünüzlə, seçki kampaniyası aparmaq sizin üçün nə qədər çətin idi?

- Rəqiblərimizin səylərinə baxmayaraq, seçkiqabağı proses sərbəst və şəffaf bir mühitdə keçirildi. Dağıdıcı qüvvələrin təxribatları bizi və tərəfdarlarımızı daha da gücləndirdi və biz daha çox müsbət bir seçki kampaniyası keçirdik. Majoritar seçki dairəsində bütün kəndlərdə, qəsəbələrində və şəhərlərində insanlarla görüşdük, bir çox insanla söhbət etdik. Əhalinin ölkədə gedən dəyişiklikləri müsbət qiymətləndirilməsi diqqət çəkir ki, bir sıra insanlar dövlət proqramlarından faydalanırlar. O ki qaldı, dediyiniz kimi, naməlum bir seçicinin etimadını qazanmağa-mən onların qarşısına səmimiyyətlə, gördüyüm işlərlə və yalnız real vədlərdə gəlirəm. Son dörd il ərzində parlamentdə fəaliyyət göstərməklə yanaşı, seçicilərin maraqlarını müdafiə edərək eyni zamanda onlarla ünsiyyətdə idim. İmkanlarımız və ehtiyatlarımız çərçivəsində heç bir gələn ərizə və mesajı cavabsız buraxmadıq. Mən həmişə açıq idim və hər bir insanın mənim fəaliyyətimə nəzər yetirməyə imkanı olub və olacaq. Mən həmişə xalqımın ehtiyac duyduğu yerdəyəm. Bütün bunları nəzərə alaraq cəmiyyətin qərar verdiyini düşünürəm və onların etimadını doğrultmaq üçün əlimdən gələni edəcəyəm. Bildiyiniz kimi, seçkilər yaxınlaşdıqca rəqiblərimizin dağıdıcı hərəkətləri artdı, bu insanlar qalib gəlmək şanslarının olmadığını yaxşı bilirdilər və əvvəlcədən təyin olunmuş təxribatlara fikir verməyə çalışdılar və seçkilərə kölgə saldılar ancaq cəmiyyətimiz hadisələri adekvat qiymətləndirdi. Yerli sakinlər bizi yaxşı tanıyır və bizə münasibətləri oktyabrın 3-də seçki qutusuna yazıldı və turu qazandıq.

2. Birləşmiş Dairədə seçicilərin 55.44%-i yalnız Bolnisidə deyil, Tetricğaro və Tsalka bələdiyyələrində də səs çoxluğu ilə sizi dəstəklədi. Bu nəticəni gözləyirdiniz? Seçicilərə nə deyərdiniz, fəaliyyət planınız nədir?

-Mənim üçün hər zaman olduğu kimi indi də əsas hədəflərdən biri seçicilərimin maraqlarını qorumaq və onlar üçün vacib olan məsələlərə dəstək olmaqdır. Bütün intellektual və fiziki resurslarım seçicilərlə işləmək və onların maraqlarını Gürcüstan parlamentində lobbiçilik etməyə yönəldiləcəkdir. Yenidən cəmiyyətimizə vicdanla xidmət edəcəyəm. Hər bir insan bizim üçün vacibdir, insanların səsinə qulaq veririk və həmişə əhalinin rəyəni nəzərə almağa çalışırıq. Cəmiyyətimizin ən fəal hissəsi gənclərimizdir və onlar hər yerdə müxtəlif layihələrdə iştirak etmə, məşğulluq, karyera yüksəlişi imkanlarına sahib olmalıdırlar.

Gənclərin imkanları daxilində ticarət fəaliyyəti ilə məşğul olmalarını təmin etmək üçün daha çox vəsait ayırmalıyıq. Elə də idman və s. daxil olmaqla müxtəlif sahələr yaratmalıyıq.

İnfrastrukturu inkişaf etdirməyə davam edəcəyik, bütün kəndlərə giriş yolları yaxşılaşdırılacaqdır. Əhaliyə içməli su təchizatı keyfiyyətini artıracağıq, 24 saatlıq su təchizatı mövcud olacaq. Məktəblərin bərpası və inşası davam etdiriləcəkdir. Bütün inzibati vahidlərdə yeni uşaq bağçası tikəcəyik və mövcud bağçanın bərpası davam edəcəkdir. Kəndlərin qazlaşdırma layihəsi başladı və başa çatdırılacaq.

Regiondakı turizm potensialından maksimum istifadə edəcəyik və müxtəlif istiqamətlərdə turizmi inkişaf etdirəcəyik (eko-turizm, mədəni və aqroturizm). Hər kəsə həyata keçirmə imkanına sahib olduğu bərabər imkanlar və sağlam rəqabət mühiti yaradacağıq.

Regiona investisiya cəlb etmək üçün çalışacağıq. Gəncləri gücləndirmək və dəstəkləmək üçün potensiallarını nümayiş etdirmələrini və həyata keçirmələrini təmin edəcək proqramlar həyata keçirəcəyik. İdarə vahidlərində gənclərin müxtəlif bacarıqlara yiyələnəcəkləri, formal və qeyri-rəsmi təhsil alacaqları gənclər mərkəzləri yaradacağıq.

Kənd təsərrüfatı sektorunun inkişafına dəstək verəcəyik, suvarma sistemlərinin tənzimlənməsinə və bərpasına davam edəcəyik.

Konstitusiyamıza görə hər kəsin sağlam bir mühitdə yaşamaq, təbii mühitdən istifadə etmək hüququ vardır. Ətraf mühiti daha da qorumaq və davamlı ekoloji inkişafı təmin etmək üçün əlimizdən gələni edəcəyik.

Birinci turdakı inamlı qələbə gözləntilərinə gəldikdə - dürüstcə deyim ki, həqiqətən bu cür gözləntilərimiz var idi, komandamız çox fəal, fədakar və dürüst çalışdı. Burada yalnız seçkiqabağı dövrü nəzərdə tutmuram. Yaxşı planlanmış, məqsədyönlü iş hər zaman müvafiq nəticə gətirər".

Təşəkkür edirəm cənab Qoqi, uğurlar!

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

,,არემჯში" ,,COVID-19-ის მართვის საოპერაციო შტაბი" შეიქმნა

კომპანია ,,არემჯიში" ახალი კორონავირუსული ინფექციის COVID-19-ის გამო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, არემჯის საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების ეფექტურად მართვის მიზნით ,,COVID-19-ის მართვის საოპერაციო შტაბი" შეიქმნა.

საწარმოო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს თანამშრომელთა თერმოსკრინინგის რამდენიმე პუნქტი, სადაც თითოეულ თანამშრომელს უტარდება თერმოსკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სწრაფი ან/და პისიარ ტესტის გაკეთება.

ცენტრალურ ოფისებში დამონტაჟებულია ჭკვიანი კამერები თერმო სკრინინგით, რომელიც საშუალებას იძლევა შემოწმდეს, როგორც ტემპერატურა, ასევე ამოიცნოს უკეთია თუ არა ადამიანს პირბადე. ოფისებსა და საწარმო ტერიტორიაზე, ხდება საინფორმაციო პოსტერებისა და სტიკერების განთავსება, რათა მოხდეს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება.

თანმაშრომლებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, 26 მარტიდან დღემდე კომპანიის ოფისებში 340-ჯერ ჩატარდა დეზინფექცია, ხოლო შაბათ-კვირას მიმდინარეობს გეგმიური სადეზინფექციო სამუშაოები. სწორედ კომპანიის ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლების ჩართულობით, ადგილზე მზადდება სადენზიფექციო ხსნარი. დამატებით მზადდება ხელის სადენზიფექციო ხსნარები, რომლებსაც კომპანიაში თითოეული დასაქმებული პერსონალური ჰიგიენის დასაცავად იყენებს. კომპანიამ ასევე საკუთარი ძალებით დაამზადა 20 000-მდე პირბადე, რომლებიც თანამშრომლებს უფასოდ ურიგდება.

,,COVID-19-ის მართვის საოპერაციო შტაბის" მიერ ხორციელდება თვითიზოლაციაში მყოფი და სიცხიანი თანამშრომლის ჯანმრთელობის მონიტორინგი.

,,არემჯიმ" პანდემიის დაწყების დღიდან, COVID-19 ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არაერთი ღონისძიება და კამპანია განახორციელა, აქტივობების დიდი ნაწილი დღესაც მიმდინარეობს.

ზვიად ჯაყელი

არემჯის სარემონტო სამსახურის უფროსი - მთავარი მექანიკოსი

ზვიად ჯაყელი 2019 წელს დასახელდა ,,წლის სამთოელად", მას 47 წლის განმავლობაში ბევრ სამუშაო პოზიციაზე მოუწია მუშაობა. ბულდოზერის მემანქანის თანაშემწედ დაიწყო, შემდეგ იყო საგზაო უბნის უფროსი, მაღაროს მექანიკოსი, მთავარი მექანიკოსი, სარემონტო საამქროს მექანიკოსი და ექსპლუატაციის უფროსი.

,,ამჟამად ვარ არემჯის სარემონტო სამსახურის უფროსი - მთავარი მექანიკოსი.

რა თქმა უნდა არის განსხვავება იმ დროინდელ საწარმოსა და ამჟამინდელი საწარმოს შორის. დღევანდელი გადასახედიდან შედარებაც არაა. დღეს არის თითოეული დასაქმებულისთვის ყველა პირობა გაუმჯობესებული. კომპანიის თანამშრომელს სურვილის შემთხვევაში შეუძლია სხვადასხვა სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა, რათა შეძლოს პროფესიულად განვითარება. ხელმძღვანელობა, რომელიც დღეს გვყავს მთელი მონდომებით თავს არ ზოგავს ჩვენი პირობების გაუმჯობესებისთვის. ისინი ცდილობენ, რომ ყველა თანამშრომლის უფლება დაცული იყოს."

არემჯის გამწვანების აქცია

სოფელ ბალიქის გზაზე, არემჯის გამწვანების აქციის ფარგლებში, 100 ალვის ხის ნერგი დაირგო, რომლის მოვლას დაბა კაზრეთის ,,გამწვანების ჯგუფი" უზრუნველყოფს.

,,გამწვანების ჯგუფი" წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა, რომელიც კაზრეთისა და სოფელ ბალიქში არსებული ნარგავებისა და ხეების მოვლას, მათ შეწამვლა-დასუფთავებას, ახალი ნერგების დარგვას, სანიაღვრე სისტემების გაწმენდასა და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს ითვალისწინებს. ,,გამწვანების ჯგუფში" დასაქმებული 7 თანამშრომელი დაბა კაზრეთისა და სოფელ ბალიქის მაცხოვრებელია.

არემჯის ტერირორიაზე მოეწყო სანერგე მეურნეობა, სადაც ამ ეტაპზე 8 000-ზე მეტი ნერგი არის გამოყვანილი. აკაცია, მინდვრის ნეკერჩხალი, ელდარის ფიქვი, ასკილი და სხვა ნერგები, რომლებსაც მომავალში კომპანია დაბის გასამწვანებლად გამოიყენებს. გამწვანების პროექტის ფარგლებში ჯამში 10 000 ნერგის დარგვა იგეგმება.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.